

მათემატიკური გამოწვევა

- 1 სამირი ადგენს 3-ნიშნა რიცხვს.
ჯეიდი ადგენს 2-ნიშნა რიცხვს.
ამ რიცხვებს შორის სხვაობაა 65.
რა რიცხვები შეიძლება იყოს ეს?

- 2 ტობი ადგენს 3-ნიშნა რიცხვს.
პადმა ადგენს 2-ნიშნა რიცხვს.
ამ რიცხვების ჯამი არის 254.
რა რიცხვები შეიძლება იყოს ეს?

მათემატიკური გამოწვევა

ამ გამოწვევისთვის დაგჭირდება კამათელი.

გააგორე კამათელი 5-ჯერ. მიღებული ციფრები რიგრიგობით ჩაწერე უჯრებში.

 - =

ახლა იპოვე პასუხი.

შეგიძლია:

- (ა) იპოვო შესაძლო ყველაზე დიდი რიცხვი?
- (ბ) იპოვო შესაძლო ყველაზე პატარა რიცხვი?
- (გ) შეადგინო ლუწი რიცხვი?
- (დ) შეადგინო 3-ის ჯერადი რიცხვი?

ითამაშე მეწყვილესთან ერთად. შეგიძლია:

- (ე) შეადგინო რიცხვი, რომელიც იქნება სულ მცირე 50-ით მეტი შენი მეწყვილის რიცხვზე?
- (ვ) შეადგინო რიცხვი, რომელიც სულ მცირე 20-ით ნაკლებია შენი მეწყვილის რიცხვზე?

